

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოს

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2017 წლის 10 აპრილის

სხდომის ოქმი № 1

ქ. ახალციხე

2017 წელი, 10 აპრილი

სხდომას ესწრებოდნენ:

ზაზა მელიქიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი
დავით ლომიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
გელა ლომიძე	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
ევა იველაშვილი	იურიდიული სამსახურის უფროსი
ემზარი მღებრიშვილი	ინფასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი
ქეთევან ინასარიძე	შესყიდვების სამსახურის უფროსი
მაია სხირტლაძე	კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური
უჩა მოდებაძე	სოფელ ურავლის მკვიდრი

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ნინო რუხაძე
2. მალხაზ მანველიშვილი
3. ნინო ლომიძე
4. ელენა ბეგიაშვილი
5. თამარ კაპანაძე
6. გვანცა გოგოლაძე
7. ზაზა ივანიძე

8. მკრტიჩ თორისიანი
9. ასთხიკ სარქისიანი
10. სიმონ გელაშვილი

სხდომას არ ესწრებოდნენ „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. თენგიზ ხითარიშვილი
2. პოლოს მაგაკიანი

დღის წესრიგი:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში შესული ცვლილებების შესახებ;
2. ახალციხის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ;

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზაზა მელიქიძემ „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო.

გამგებელმა ახალციხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში შესულ ცვლილებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ძირითადი ნაწილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას მოხმარდება.

ასევე, ზაზა მელიქიძემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ აღარ იქნება, მაგრამ ეს ხელს არ შეუშლის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად შეიმუშავა სამ წლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია სოფლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების პრიორიტეტები. თითოეული მათგანი მოსახლეობის ინტერესებზე და მათ საჭიროებებზეა მორგებული.

ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს გარდამავალი პროექტების განხორციელება. შესასრულებელ სამუშაოებზე კი ტენდერების ნაწილი უკვე გამოცხადებულია, ნაწილი მომზადების პროცესშია. გარდამავალი პროექტებია სხვილისის, ურაველი-ხეოთის და აგარა-საყუნეთის დამაკავშირებელი გზები.

2017 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით დაგეგმილია მასშტაბური პროექტების განხორციელება. მათ შორის რეაბილიტაცია ჩაუტარდებათ ქალაქ ვალისა და აწყურის კულტურის სახლებს. ასევე, მოხდება გაღმა აწყურის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაც.

გაგრძელდება ახალციხე-ანის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (IV ეტაპი) და სოფლამდე მისასვლელი გზა სრულიად ასფალტირებული იქნება. აგრეთვე, რეაბილიტაცია ჩაუტარდება ურაველი-ხეოთის, ფერსა-მუგარეთის, გიორგიწმინდის, წყორძის, წყალთბილა-ნაოხრების საავტომობილო გზებს და ვალეში მეგობრობის ქუჩას. სოფელ ღრელში ცენტრალური გზაზე ასფალტის საფარი, გარე განათება და საკანალიზაციო სისტემა უკვე მოწყობილია. მიმდინარე წელს კი დაგეგმილია სოფლის შიდა გზის, კერძოდ, რიტუალების სახლის ქუჩის რეაბილიტაცია. ასევე, გასულ წელს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან განხორციელდა საფარის მონასტრამდე მისასვლელი გზის მოწყობა.



ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია სოფელ წყრუთის შიდა გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა, აგრეთვე კლდისა (ზეუბანი) და მინამის (ორფოლოს მიმართულებით) საავტომობილო გზების რეაბილიტაცია.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს მოხდება ქალაქ ვალის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რომელიც მთის ფონდიდან დაფინანსდება. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სექტემბრის თვეში უკვე რეაბილიტირებული იქნება და კატარები სასწავლო წელს თანამედროვე სტანდარტებზე გათვლილ ახალ ბაღში დაიწყებენ.

ქალაქ ვალეში მოხდება ტროტუარების რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.

გარდა ამისა შპს „ვალეს კომუნალური გაერთიანება“ ახორცილებს შიდა გზების მოვლა-პატრონობას და ყველა სოფელში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა.

რაც შეეხება დასუფთავებას, ყველა დასახლებული პუნქტიდან ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანა. მუნიციპალიტეტმა დამატებით კიდევ შეიძინა ორი ნაგავზიდი. იგეგმება ნაგვის ურნების შექმნაც, რომლებიც სოფლებში დამატებით განთავსდება.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს უჩა მოდებამემ სოფელ ურაველში ჩატარებული საერთო კრების ინიციატივა გააცნო, რომელიც სოფელში სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაციას ეხება. მან პროექტი წარმოადგინა, სადაც სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაციის განხორციელების გზები, მიზნები და ამოცანებია გაწერილი.

გამგებელმა მოიწონა წარმოდგენილი ინიციატივა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს შესწავლილი აქვს ურავლის სასმელი წყლის პრობლემა და 2017-2018 წლებში დაგეგმილია მისი რეზილიტაცია.

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებმა წარმოდგენილი პროექტები მოიწონეს და გამოთქვეს მოსაზრებები:

საერთაშორისო ორგანიზაცია „World vision“-ის ხელმძღვანელმა ნინო ლომიძემ გამგებელს ვალის საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურით აღჭურვაში დახმარება აღუთქვა.


საერთაშორისო ორგანიზაცია „World vision“-ის წარმომადგენლებმა ელენა ბეგიაშვილმა გამგებელს შესთავაზა წინადადება ქალაქ ვალის ცენტრალურ გზებზე სათვალთვლო კამერების განთავსების შესახებ.

ქალაქ ვალის №2 საჯარო სკოლის დირექტორმა გვანცა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ მისი სკოლის მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვებიან მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ დასუფთავების აქციებში.

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ნინო რუხაძე 

2. თენგიზ ხითარიშვილი \_\_\_\_\_

3. მალხაზ მანველიშვილი 

4. ნინო ლომიძე 

5. ელენა ბეგიაშვილი 

6. თამარ კაპანაძე 

7. გვანცა გოგოლაძე 

8. ზაზა ივანიძე 

9. პოლოს მაგაკიანი \_\_\_\_\_

10. მკრტიჩ თოროსიანი 

11. ასთიკ სარქისიანი 

12. სიმონ გელაშვილი 